

რატომ აწესებენ კერძო ბანკები სესხებზე მაღალ პროცენტს და რა კავშირი აქვს ამასთან სახელმწიფოს

ჟურნალი “თბილისელები”, 28 იანვარი – 3 თებერვალი, № 5, 2008

მართალია, ბ-ნი ბენდუქიძის ინციატივით ჯერ კიდევ 2006 წელს იყო გადაწყვეტილი ეროვნული ბანკის რეფორმირება, კერძოდ, მისთვის კერძო ბანკების ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევა, მაგრამ იდეა ვერ განხორციელდა. თუმცა, რაკი “რეფორმირების” ჭია მეტად მრღნელი აღმოჩნდა, იმავეს გაკეთება 2008 წელს იგეგმება; უფრო მეტიც, ინფლაციასთან ბრძოლის მეთოდიც გამოინახა: თუკი მისი მაჩვენებელი 12 პროცენტს გადასცდება, ამას მსხვერპლად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სკამი შეეწირება. თუმცა, ექსპერტების მტკიცებით, ეს ღონისძიებები, საბოლოოდ, ეროვნული ბანკის დასუსტებას გამოიწვევს და მას ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებასაც მოუსპობს, მსურველის კი კერძო ბანკების კონტროლის მექანიზმიც გაუჩნდება. უფრო დეტალურად კი ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდისთვის ძველი მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის დეტალებში პარლამენტის წევრი ლადო პაპავა ჩაგვახედებს.

- რატომ უნდა ჩამოერთვას ეროვნულ ბანკს კერძო ბანკების ზედამხედველობის ფუნქცია?
- როდესაც დგება საკითხი, რომ ეროვნული ბანკის ფუნქციიდან უნდა გავიტანოთ საბანკო ზედამხედველობა, მაშინვე ისმება კითხვა: რატომ? რა ხდება ისეთი ეროვნულ ბანკში, რომ აუცილებელი იყოს ამ ცვლილების

განხორციელება? საკითხის უკეთ განსამარტავად მოვიყვან ასეთ მაგალითს: იცით, რომ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში გაკოტრდა „ინტელექტბანკი“, მაგრამ მის მენაბრეებს, იმ საწარმოებსა და ფირმებს, რომლებსაც ამ ბანკში ჰქონდათ გახსნილი ანგარიშები, არანაირი პრობლემა არ შექმნიათ, რადგან ეროვნულმა ბანკმა წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. ვიცით, რომ გაკოტრებული ბანკი „საქართველოს ბანკმა“ შეისყიდა და ის გახდა მისი სტრუქტურული ერთეული.

– **თუმცა ამბობენ, რომ „ინტელექტბანკი“ ხელოვნურად გააკოტრესო.**

– ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ბანკის გაკოტრებას არავინ დაუზარალებია, ანუ „ინტელექტბანკის“ გაკოტრება არ გამხდარა საბანკო კრიზისის თუნდაც მცირედი მიზეზი. ვიცით, რომ დღეს იგივე პრობლემა აქვს „სტანდარტბანკს“. მე არ ვლაპარაკობ მიზეზებზე, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნულმა ბანკმა ხელისუფლებისგან მიიღო დავალება და მიმდინარეობს „სტანდარტბანკის“ გაკოტრების პროცედურა. მართალია, „სტანდარტბანკი“ საკმაოდ ძლიერი ბანკია, რეიტინგიც აქვს და მას ასე ადვილად ვერ გაკოტრებენ, თუმცა ეროვნულმა ბანკმა მიღებული დავალების შესრულება დაიწყო და, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება არც ამჯერად უნდა იყოს უკმაყოფილო ეროვნული ბანკით... ასე რომ, არ მესმის, რაში სჭირდება ხელისუფლებას ეროვნული ბანკისთვის საზედამხედველო ფუნქციის ჩამორთმევა და მისი, როგორც ინსტიტუტის, დასუსტება?! რას ვერ აკეთებს ეროვნული ბანკი, რომ აუცილებელი იყოს ამ რეფორმის ჩატარება?! თუმცა იმავედროულად გამოჩნდა მეორე ინციატივა, რომელიც შეიძლება, კახა ბენდუქიძის მორიგ “მარგალიტად” ჩაითვალოს.

– **ესე იგი, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა მთავრობაში, კახა ბენდუქიძის იდეები უკვდავია?**

– ლენინივით: მართალია, ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი იდეები ცოცხალია; რა თქმა უნდა, მხოლოდ პოლიტიკურ სიკვდილზე ვლაპარაკობ და არავის ვუსურვებ ცუდს. გაჩნდა ასეთი იდეა: ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად

შემოდებულ უნდა იქნას ინფლაციის ზღვრული მაჩვენებელი და, თუ ინფლაცია ამ მაჩვენებელს გადასცდება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს გადააყენებენ. აქ არის ერთი საინტერესო დეტალი: აქამდე მთავრობა ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში ინფლაცია მაღალი არ არისო, მაგრამ, როგორც ჩანს, იციან, რომ ინფლაციის მაჩვენებელი მაღალია და გადაწყდა, რომ ინფლაცია არის პრობლემა, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თავზე უნდა გადატყდეს. რას ნიშნავს ინფლაციაზე ზღვრული მაჩვენებლის დაწესება? შეიძლება, იყოს ისეთი ინფლაციური პროცესები, რომ ეროვნული ბანკის ხელთ არ აღმოჩნდეს საკმარისი ბერკეტები მის გასანეიტრალებლად. ეს შეიძლება, იყოს გარე შოკები: ნავთობზე ფასის თითქმის პერმანენტულად ზრდა, გაზის ტარიფის, ხორბლის ღირებულების ზრდა; გარდა ამისა, მთავრობას აქვს სხვადასხვა ტიპის პროგრამები, მათ შორის, პოპულისტური, მცდარი, მაგალითად, დასაქმების ფსევდოპროგრამა, რაც სინამდვილეში უმუშევართათვის შემწეობის გაცემის პროგრამა იყო, ან შადრევნების გაუთავებელი მშენებლობა, გაუთავებელი სანახაობები, რომლებიც ხელს უწყობს ინფლაციას. ამასთან, ვიცით, რომ მოდის საპარლამენტო არჩევნები, ბუნებრივია, პრეზიდენტს დასჭირდება, რომ ჰყავდეს თავისი უმრავლესობა პარლამენტში, ამისთვის კი საჭირო იქნება მორიგი დაპირებები, ხარჯები სოციალურ სფეროში, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკისთვის ინფლაციური ტვირთი იქნება. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკისთვის ინფლაციის ზღვრული მაჩვენებლის შემოღება ნიშნავს, რომ ის რეალურად გახდება ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის დონის ორგანო და მისი ხელმძღვანელი თვალებში უნდა შესცივინებდეს მთავრობას, რამე ისეთი ხარჯი არ გასწიონ, რის დარეგულირებასაც ეროვნული ბანკი ვერ შეძლებს. პრაქტიკულად, ეს ჩანაფიქრი მიმართულია იქითკენ, რომ ეროვნული ბანკი, როგორც ინსტიტუტი, დასუსტდეს.

– და ეს ქვეყნისთვის კარგია?

– ვინ თქვა, რომ კარგია?! მაგრამ არ ვიცი, რატომ აკეთებენ ამას, ისევე, როგორც გაგუბერია, რატომ დაანგრიეს 2004 წელს ანტიმოპოპოლიური

სამსახური, 2007 წელს კი სააკაშვილი მერაბიშვილს ავალებდა, მიმიხედე შაქარზე, ფქვილსა და სარეცხ საშუალებებზე მონოპოლიებსო?! მით უმეტეს, რომ დღეს ეროვნული ბანკი ისედაც დასუსტებულია: დიდ პატივს ვცემ დავით ამალღობელს და მას ვიცნობ, როგორც კარგ პროფესიონალს, მაგრამ ის არის არა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, არამედ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და, ვინც არ უნდა იყოს მოვალეობის შემსრულებელი, ინსტიტუციონალურად ის სუსტი პიროვნებაა. შესაბამისად, ახლა არის ბრწყინვალე დრო იმისთვის, რომ დაანგრიო ეროვნული ბანკი და ამის შემდეგ, ვინც უნდა დანიშნო მის პრეზიდენტად, მაინც ყურებით ეყოლებათ დაჭერილი.

– ვის დაეკისრება კერძო ბანკების ზედამხედველობის ფუნქცია?

– ითქვამს, რომ უნდა შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო, მისი ერთ-ერთი წევრი ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც იქნება და შეიძლება, ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაუქვემდებარონ ეროვნულ ბანკს, რაც, პრაქტიკულად, კანონსაწინააღმდეგო იქნება, იმიტომ რომ ეროვნული ბანკი თვითონ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და, ჩვენი კანონმდებლობით, საჯარო სამართლის ერთი იურიდიული პირი ვერ დაიქვემდებარებს მეორეს.

– თქვენ თუ ნახეთ მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი პროგრამა?

– მართალია, ლადო გურგენიძემ ინგა გრიგოლიას გადაცემაში ააფრიალა ფურცლები და მე მინდა, დავიჯერო, რომ ეს არის პროგრამა, მაგრამ მგონია, რომ ეს არის პროგრამა მთავრობის შიდა მოხმარებისთვის, რადგან მე, როგორც პარლამენტის წევრმა, ეს პროგრამა ვერსად მოვიძიე. არჩევნების შემდეგ, როდესაც გირკვა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაგროვებული ხმები 50 პროცენტს გადასცდა, მან გვიან ღამით ინგა გრიგოლიას გადაცემაში გვაუწყა, რომ მთავრობამ მუშაობა უნდა დაიწყოს 50-დღიან პროგრამაზე, რომელსაც შეიმუშავენ ექსპერტები, მაგრამ მეორე დღეს გაიმართა მთავრობის სხდომა და აღმოჩნდა, რომ მთავრობამ ყოველგვარი ექსპერტების გარეშე წარმოადგინა გეგმა, თანაც იმ მთავრობამ, რომელმაც, როგორც წინა

დამით სააკაშვილმა თქვა, ქვეყანას თავი შეაძულა და ამიტომ უნდა გამოცვლილიყო. ჩემთვის გაუგებარია, რა მოხდა. თუმცა, მეორე მხრივ, ახალი არაფერია, გრძელდება ის, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იყო.

– ამბობთ, რომ ეროვნული ბანკის დასუსტება ქვეყანას არ წაადგება, მაგრამ ვილაცისთვის ხომ უნდა იყოს სახეირო? ვისთვის?

– აქ შეიძლება, იყოს ორი ტიპის ინტერესი: ჯერ ერთი, ეს შეიძლება, დაკაშირებული იყოს სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან: სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებაა და შესაძლოა, ეს ნაბიჯები მიზანმიმართულად იდგმებოდეს. მეორეც, ეს შეიძლება, იყოს უცოდინრობის გამოვლინებაც: საქართველოში ასეთი რამ ჩამოყალბდა – თუ კაცს ეკონომიკური განთლება არ აქვს, ის ნეოლიბერალად ითვლება, ანუ უცოდინრობას ძალიან ღამაზი სახელი მოეძებნა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ნეოლიბერალობას ძალიან დიდი ცოდნა სჭირდება. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვილაცის ინტერესშია, რომ საბანკო სფეროზე ზეგავლენა შექმლოს და, როგორც მოგახსენეთ, ამისთვის დღეს იდეალური დროა.

– რა კავშირი აქვს ზოგადად სახელმწიფოს, მათ შორის, ეროვნულ ბანკს კერძო ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე პროცენტის დაწესებასთან?

– ეროვნული ბანკი უშვებს ფასიან ქაღალდებს და ამით არეგულირებენ კერძო ბანკები გაცემულ კრედიტზე პროცენტს, თუ რა პროცენტს დაადებს თავის ფასიან ქაღალდებს ეროვნული ბანკი. ნებისმიერი ბანკისთვის ძალიან მომგებიანია ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შექმნა, იმიტომ რომ უფრო დაცულია და ამაში შეიძლება, საკმაოდ მაღალი პროცენტიც მიიღოს. კერძო ბანკებისთვის ეს იგივე ფულის გასესხებაა და, თუ ეროვნული ბანკი ამ ფასიან ქაღალდზე შედარებით მაღალ პროცენტს დააწესებს, ეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ სესხზეც აწევს პროცენტს, რადგან, თუ კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკი 20 პროცენტს უხდის, მაშინ მას მისცემს სესხს და არა, ვთქვათ, პეტრეს, რომელიც 20 პროცენტზე

ნაკლების გადამხდელია. მაშასადამე, ეროვნულ ბანკს თავისი ფასიანი ქაღალდების გაყიდვით აქვს მექანიზმი, რომ ირიბად მოახდინოს ზეგავლენა კერძო ბანკების მიერ გაცემული სესხების პროცენტზე.

– მაღალია თუ ნორმალური ჩვენი კერძო ბანკების მიერ დაწესებული პროცენტი ჩვენი დონის ქვეყნისთვის?

– ამის თქმა ცოტა რთულია, ამიტომ საკითხს ასე დავაყენებ: ჩვენს ქვეყანას აქვს ინფლაციის პრობლემა და, როდესაც ინფლაცია მაღალია, საბანკო სესხი ძვირდება, რადგან ეს არის ერთ-ერთი მექანიზმი იმისა, რომ შეამცირო მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა. ჩვენს ქვეყანაში, რაკი ინფლაციური წნეხი საკმაოდ მაღალია, ბუნებრივია, ეროვნულ ბანკს სჭირდება, რომ აწიოს ეს საპროცენტო განაკვეთი და მივდივართ ასეთ კურიოზთან: როდესაც 2008 წლის ბიუჯეტი იხილებოდა, ბიუჯეტის პროექტით, 2008 წელს მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთი უნდა ყოფილიყო 18,9 პროცენტი, მაშინ, როდესაც 2007 წელს მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთი არის 21,1 პროცენტი, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ლალო გურგენიძის განცხადებას, რომ 2008 წელს უნდა გავაძვიროთ საბანკო სესხი, იმიტომ რომ მოვთხოვთ ინფლაციას. მე დავუხვი ამის შესახებ შეკითხვა ფინანსთა მინისტრს, მაგრამ მან გაიკვირვა, საიდან მოვიტანე ეს ციფრები.

– რეალურია, რომ გაიცემა გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხები მცირე ბიზნესის გასაავითარებლად?

– რეალურია იმდენად, რომ მთავრობას აქვს ეს ფული, ეს სესხები წავა ბიუჯეტიდან.

– ვინ იქნება მათი გამცემი?

– სხვადასხვა საექსლმწიფო უწყებები, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

– აქვს კანონით ეს უფლება?

– არ აქვს ამის უფლება კანონით. არის სხვა მექანიზმიც. მაგალითად, ბიუჯეტში წერია, რომ ეკონომიკის სამინისტრო შეარჩევს მომსახურე ბანკს, რომელსაც ამ თანხას მისცემს 2 პროცენტად და ბანკს შეუძლია, ეს სესხი გასცეს არაუმეტეს 12 პროცენტად. არადა ცუდია, თუ ბანკი 20 პროცენტად იძლევა სესხს, ამის პარალელურად კი 12 პროცენტის სესხიც აქვს, რადგან ეს ანგრევს საკრედიტო ბაზარს. ეს იგივეა, მაღაზიაში პური ზოგიერთი მომხმარებლისათვის ორჯერ ძვირი ღირდეს, ვიდრე მეორესათვის, რაც შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს სხვადასხვა პირობები აქვს, თითქმის თანაბარია საბანკო სესხის პროცენტი; წარმოიდგინეთ, ბანკი გასცემს 20-პროცენტის სესხებს და ამასთან მცირე ბიზნესისთვის აქვს 12-პროცენტის სესხი. ეს სხვაობა ცუდია იმ თვალსაზრისით, რომ გახდება კორუფციული გარიგებების საფუძველი. მეორე მხრივ, თუ პრემიერ-მინისტრს უნდა, რომ საბანკო სესხი გაძვირდეს და ინფლაცია მოითოკოს, ამ პროცესზე ეს იაფი კრედიტი უარყოფითად იმოქმედებს, მაგრამ, თუ გვინდა, რომ მცირე ბიზნესი განვითარდეს და ახალ ბიზნესს ხელი შეეწყოს, ამისთვის იაფი კრედიტები კარგი სქემაა. ანუ ამას აქვს თავისი პლუსებიც და მინუსებიც: კარგია, თუ ეს თანხა მიზნობრივად იქნა გამოყენებული, მაგრამ, იმავედროულად, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს უარყოფითად აისახება საკრედიტო ბაზარზე, ქმნის კორუფციული გარიგებების საფრთხეს და ხელს არ უწყობს ინფლაციის შემცირებას.

– შესაძლოა, რომ ერთ რომელიმე ბანკს დაევალოს ამ კრედიტების გაცემა?

– რა თქმა უნდა, შეიძლება და სწორედ აქედან მივიღოთ ეროვნული ბანკისთვის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევამდე. თითქმის შემოიძლია, გამოვიცნო რომელი ბანკი იქნება ეს, მაგრამ შეგნებულად არ ვამბობ, სხვათა შორის, შეიძლება, სულაც არ იყოს „საქართველოს ბანკი“.

ნინო ხაჩიძე